KA030143361768518

№ 01-1700/ს **24 / აგვისტო / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 30-31 აგვისტოს შვედეთში ქ. სტოკჰოლმში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ოფისის, შვედეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სააგენტოს, გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მიერ დაგეგმილია შეხვედრა თემაზე: "ევროპაში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის პროგრესის დაჩქარება".

აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით წარდგენილნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მარინა დარახველიძე და ამავე დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ვერა ბაზიარი.

ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მარინა დარახველიძისა და ქალბატონი ვერა ბაზიარისათვის 29 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია